



სამართლიანი არჩევნები

30 მაისი, 2010 წელი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

განცხადება არჩევნების მიმდინარეობის შესახებ # 1 10:00 საათი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება ახორციელებს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების ფართომასშტაბიან მონიტორინგს. ორგანიზაცია კენჭისყრის მიმდინარეობას აკვირდება **1100** საარჩევნო უბნის დამკვირვებლის, **73** საარჩევნო ოლქის დამკვირვებლის, **73** მობილური ჯგუფისა და **15** იურისტთა ჯგუფის მეშვეობით. ამასთანავე, ორგანიზაცია ახორციელებს არჩევნების დღის ხარისხობრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას. ამ ეტაპზე „სამართლიანი არჩევნები“ წარმოგიდგენთ 10:00 საათისთვის არსებულ მონაცემებს.

ორგანიზაციის დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით:

- კანონით დადგენილ დროზე ადრე/დაგვიანებით გაიხსნა საარჩევნო უბანთა **17 %**.
 - საარჩევნო უბანთა **5 %**-ზე დაფიქსირდა 1500-ზე მეტი რეგისტრირებული ამომრჩეველი.
 - საარჩევნო უბანთა **3 %** არ იყო შესაბამისად მომზადებული კენჭისყრისთვის და აკლდა საარჩევნო მასალები.
1. ბიულეტენების რაოდენობა ნაკლებია ამომრჩეველთა სიაში არსებულ რაოდენობაზე **# 3 საბურთალოს** საარჩევნო ოლქის **# 4** საარჩევნო უბანი, **# 32 გორის** საარჩევნო ოლქის **# 6, # 12, # 60, # 78, # 98** საარჩევნო უბნებზე, **# 67 ზუგდიდის** საარჩევნო ოლქის **# 90** საარჩევნო უბანზე (უმისამართო ამომრჩეველთა საარჩევნო უბანი).

45 ცაგერის საარჩევნო ოლქის **# 32** საარჩევნო უბნებზე არ არის მაჟორიტარული საარჩევნო ბიულეტენები. უბნის კომისიამ განაცხადა, რომ მაჟორიტარული ბიულეტენები შეცდომით გაგზავნილი იყო იმავე ოლქის **# 31** საარჩევნო უბანზე. აღმოჩნდა, რომ მაჟორიტარული ბიულეტენები საერთოდ არ არის დაბეჭდილი. საოლქო საარჩევნო კომისიის განცხადებით ცესკო-დან მიიღეს დირექტივა, რომ ამომრჩეველმა ხმას მისცეს მხოლოდ პორპორციული სისტემით.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ამომრჩეველთა სიები:

- ამომრჩეველთა სიის დანართში დაფიქსირდა ისეთი ამომრჩეველები, რომელთაც არ მიუმართავთ საოლქო ან შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის მოთხოვნით. # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქის # 23, # 34 საარჩევნო უბნები.
- განსხვავებუბია ამომრჩეველთა სამაგიდო და კედლის სიებში # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 5 საარჩევნო უბანზე.
- # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქი # 89 საარჩევნო უბანზე გადასატან საარჩევნო ყუთის წამლებ კომისიის წევრებს არ გაატანეს კომისიის ბეჭედი.

დამკვირვებლები:

- დამკვირვებლების დაშვების პრობლემა შეიქმნა: # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქის # 109 სპეციალურ საარჩევნო უბანზე; # 32 გორის საარჩევნო ოლქის # 24 სპეციალურ საარჩევნო უბანზე; # 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის # 46 საარჩევნო უბანზე.

ხმის მიცემა:

- პირველმა ამომრჩეველმა ხმა მისცა ისე, რომ არ შევსებულა საკონტროლო ფურცელი # 4 კრწანისის საარჩევნო ოლქის # 14 საარჩევნო უბანზე.
- # 59 ქუთაისის საარჩევნო ოლქში # 71 საარჩევნო უბანზე კონვერტი ამომრჩეველმა მოათავსა 4 საარჩევნო ბიულეტენი.

პროცედურული დარღვევები

- წილისყრის გარეშე ფუნქციები გადანაწილდა # 7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის # 46 საარჩევნო უბანზე.
- მარკირება არ კეთდებოდა # 47 მესტიის საარჩევნო ოლქის # 38 საარჩევნო უბანზე.

10:00 საათისთვის ორგანიზაციის მიერ შეტანილ იქნა სულ 5 საჩივარი.

„სამართლიანი არჩევნები“ აგრძელებს არჩევნების დღის მონიტორინგს და მონიტორინგის შედეგებს წარმოგიდგინთ ორგანიზაციის მომდევნო განცხადებაში.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge